

8. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, 1993 წლის 1 აპრილი

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების მემკვიდრით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მსვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა გენოციდის სახე. სისტემატიური მასობრივი მკვლელობა, დახვრეტა და არნახული შევიწროება აიძულებს ქართველ მოსახლეობას მიატოვოს საცხოვრებელი ადგილები.

საქართველოს პარლამენტი, ამ პოლიტიკას აფასებს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის განგრძობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ჩვენი სახელმწიფოს დამუკიდებლობის ხელყოფას.

მთელი პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული პოლიტიკისათვის ეკისრება რუსეთს, რომელიც თავისი იმპერიალისტური მიზნების გასახორციელებლად მხარს უჭერს გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აღსაკვეთად, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და გუდაუთის ფორმირებათა კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის დასაცავად.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, ## 5-8, 1993, გვ. 144-145)